

ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ავტომატური ამოცნობა EEG-ზე დაფუძნებული მონაცემების საფუძველზე

ყაჭიაშვილი ქ.ი.

რეზიუმე

ნაშრომი ეხება EEG მონაცემების ორობითი კლასიფიკაციის პრობლემას შეზღუდული გამოთვლითი და დროის რესურსებით. ამ მიზნით გამოყენებული იქნა მრავალგანზომილებიანი დროითი მწკრივების (მდმ) მსგავსების თერთმეტი განსხვავებული კრიტერიუმი. 32 განზომილებიანი EEG სიგნალების გამოთვლის შედეგების საფუძველზე დადგინდა განხილული მეთოდების პრიორიტეტები. მეთოდებმა „საკუთრივეექტორულ მატრიცებს შორის აღმავალი საკუთრივი მნიშვნელობებით შეწონილი სხვაობა“, „მდმ-ის წრფივი ტენდენციების ნდობის არეებში მოხვედრა“ და წინა ორი მეთოდის გაერთიანებით მიღებული მეთოდი, კლასიფიკაციის სიზუსტით უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე სხვები.